თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი N5

ქ. ხონი 10 აგვისტო 2022 წელი

2022 წლის 10 აგვისტოს სახლხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა მადონა ბასილაძის ხელმძღვანელობით შეხვედრა გამართა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან შეხვედრას ესწრებოდნენ: მანანა გოფოძე, ზაზა ვაშაკიძე, გურამი ბახტაძე, ზურაბ მიქაძე, ბაჩანა ბასილაია, მანანა აკობიძე, ეთერი უგილავა, ელისო ჯიქია, თეკლა ონიანი, ელისო ჯიქია, ემა კამკია, მარიეტა ლეთოდიანი, აკაკი ქვათელაძე .

შეხვედრის დღის წესრიგი:

1.სოციალური საჭიროებების კვლევა გენდერული კუთხით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე: ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან, სახალხო დამცველის აპარატის ინიციატივით, პროექტის " კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისთვის" ფარგლებში სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს თვითმმართველ ერთეულებსა და ცალკეულ მუნიციპალიტეტებში, გენდერული თანასწორობისა და მეინსტრიმინგის მიზნით განხორციელებული სამუშაოს შეფასება იქ მცხოვრებ პირთა სპეციფიურ სოციალურ და ეკონომიკურ საჭიროებებთან მიმართებაში.
შეხვედრას სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს სამმართველოს უფროსი მადონა ბასილაძე და სამმართველოს წარმომადგენელი თამთა ჩეჩელაშვილი უძღვებოდა.

შეხვედრის დღისწესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დახურულად გამოცხადდა.

გენდერული თანასწორობის სხდომის

თავმჯდომარე : კობა კუბლაშვილი

სხდომის მდივანი: აკაკი ქვათელაძე